ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აღკვეთის ღონისძიებების ინდივიდუალური დასაბუთებისათვის

ხატია ხერხეულიძე

ასისტენტი, სამართლის მაგისტრი
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი (ჯიუ)
khatia.kherkheulidze@giu.edu.ge
https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12126

აბსტრაქტი

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში გამოწვევაა, რადგან ჯერჯერობით სრულად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო განმარტებაც კი არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის შესახებ. თუმცა, მსოფლიოში ტექნოლოგიების სწრაფი განვითრების ფონზე, არც საქართველო იქნება გამონაკლისი, რომ ალგორითმებმა საკუთარი ადგილი ჩვენს კანონმდებლობაში დაიმკვიდრონ. სტატიაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხი, დაკავებული და ადვოკატის გარეშე წარმოდგენილი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის ინდივიდუალური დასაბუთებისას. საქართველოში დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის, მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების ოფიციალური სტატისტიკისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელოვნური ინტელექტისთვის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მიცემა სასიკეთო იქნება ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისა და სამართლიანი პროცესის განხორციელების კონტექსტში. ხოლო, აღკვეთის ღონისძიების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება, კვლავ მოსამართლის ადამიანური ინტელექტისა და რესურსის შესაბამისად იქნეს დატოვებული, როგორც დაკავებული, ისე თავისუფლებაში მყოფი ბრალდებულთა მიმართ.

საკვანძო სიტყვები: დასაბუთება, მართლმსაჯულება, ბრალდებული

შესავალი – ნაშრომის აქტუალობის წარმოჩენა

საქართველოს სისხლის სამართლის სფეროსთვის, ხელოვნური ინტელექტის შემოსვლა ახალი გამოწვევაა, სადაც ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული მისი საკანონმდებლო განმარტება, სტატუსი, როლი, ფუნქცია, პასუხისმგებლობა, სამართალსუბიექტურობა და ა.შ. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები პრაქტიკულად, უკვე წყვეტენ ადამიანის ბედს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკა, ჩინეთი და იაპონია. აქტიურად გამოიყენება ალგორითმები ევროპის ქვეყნებშიც და ვფიქრობ, მალე საქართველოს მართლმსაჯულებაშიც, გარდაუვლად დაიმკვიდრებს ადგილს. ეს ალგორითმები ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკაში, ხშირად გამოიყენება ისეთი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორიცაა აღკვეთის ღონისძიებები. ალგორითმის მეშვეობით ირკვევა, თუ რამდენად არსებობს აღკვეთის

ღონისძიებების გამოყენების საფუძვლები. შესაბამისად, ხდება ამ საფუძვლების გამოყენების დასაბუთება ხელოვნური ინტელექტის მიერ.

საინტერესოა, რომ ხელოვნური ინტელექტი უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ინდივიდუალურ დასაბუთებას ყველა ბრალდებულის მიმართ და აღნიშნული სამართლიანად იმსახურებს კვლევით ინტერესს. გამომდინარე იქიდან, რომ აღკვეთის ღონისძიებები და განსაკუთრებით პატიმრობა, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკვლევი თემაა, მისი საფუძვლების ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით ინდივიდუალური დასაბუთების მნიშვნელობა, ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ აქტუალურ საკვლევ საკითხად. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ხელოვნური ინტელექტისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭებას აქვს მაშინ, როდესაც ბრალდებული დაკავებულია და შეზღუდული აქვს მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობა, მაშინ როდესაც საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი.

საკითხის კვლევისთვის გამოყენებული იქნება ლოგიკური, სტატისტიკური, დედუქციური და ინდუქციური კვლევის მეთოდოლოგია. ასევე, იურიდიული ლიტერატურის შესწავლისა და დამუშავების მეთოდი. აღნიშნული მეთოდოლოგიის გარდა, მხედველობაში იქნება მიღებული სასამართლოს პრაქტიკა და მეცნიერ-იურისტთა მოსაზრებები აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთებისა და ამ საკითხში ხელოვნური ინტელექტის როლის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.[1] ამ პრინციპის შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილე სუბიექტები, ბრალმდებელი და ბრალდებული გამოდიან მხარეებად. მხარეებად მათი აღიარება კი ნიშნავს, რომ თავიანთი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მათ მინიჭებული აქვთ თანაბარი პროცესუალური გარანტიები.[2] თუმცა, დაკავებული ბრალდებულისათვის გამოძიების დამოუკიდებლად წარმოების უფლება შეზღუდულია. პრაქტიკულად, ბრალდებულს არ ეძლევა ადეკვატური დრო და საშუალება დამოუკიდებლად ჩაატაროს პარალელური გამოძიება და მოიპოვოს მტკიცებულებები, რომლებიც მის სასარგებლოდ შეიძლება იქნას გამოყენებული.

მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლების – სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.[3] მხარეთა თანასწორობა ევროპული სასამართლოს აზრით, გულისხმობს, რომ თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს საკუთარი პოზიციის, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგესთან შედარებით [4] .

[1] საქართველოს კონსტიტუცია (2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით), მუხლი 62-ე, ნაწილი მე-5.
[2] რუხაძე ზ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999.
[3] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი
[4] ბულუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Bulut v. Austria) no17358/90, ECHR, 22 თებერვალი, 1996, პარაგრაფი 47.

მიმაჩნია, რომ დაკავებულ ბრალდებულს, რომელსაც არ ჰყავს ადვოკატი სწორედ რომ არ გააჩნია თანაბარი შესაძლებლობა პროკურორთან შედარებით, რომ სასამართლოს საკუთარი პიროვნების, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, სამსახურის, ქონებრივი მდგომარეობის თუ სხვა მონაცემების შესახებაც კი მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია აღკვეთის ღონისძიების ინდივიდუალური დასაბუთებისათვის. თუ ამ საკითხთა შესახებ ინფორმაციას ხელოვნური ინტელექტი მოიძიებს და გამოიყენებს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობის ინდივიდუალური დასაბუთებისას, ეს გაცილებით სამართლიანი იქნება, ვიდრე მდგომარეობა, რომელშიც დღეს იმყოფება დაკავებული ბრალდებული.

შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი ნიშნავს, რომ მხარეები ეჯიბრებიან ერთმანეთს და ის მხარე მოიგებს, რომელიც უკეთ იქნება მომზადებული. აღნიშნულ მომზადებაში პირველ რიგში მხარის, ე.ი ბრალდების და დაცვის მხარის პროფესიონალიზმი იგულისხმება. თუ ბრალდების მხარეს პროფესიონალი იურისტი, დამხმარე პროფესიონალ გამომძიებელთა გუნდით იქნება წარმოდგენილი, ხოლო დაცვის მხარეს არაპროფესიონალი, დაკავებული ბრალდებული - ეჭვგარეშეა, რომ შეჯიბრებითობის საკითხი პოტენციურად პრობლემურ სიტუაციას შექმნის, ბრალდებულის უფლებების უზრუნველყოფისას. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიც გარკვეულწილად მიუთითებს ამ პოზიციის სისწორეზე.

„მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად შინაარსს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისაგან და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, მხარეების აღჭურვა თანაბარი საპროცესო უფლებებით და სასამართლოს დომინირებული როლი გადაწყვეტილების მიღებაში. [5] შეჯიბრებითობის ე.წ. კლასიკური მოდელი ეფუძნება იმ ამოსავალ დებულებას, რომ სისხლის სამართლის პროცესი არის სახელმწიფოსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ მოქალაქეს შორის დავა, რომელიც სასამართლოში ხორციელდება. ამგვარ დავაში ორივე მხარეს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ მინიჭებული.”[6] გასათვალისწინებელია სასამართლოს როლი შეჯიბრებით პროცესში მართლმსაჯულების განხორციელებისას. მოსამართლე ამ სისტემაში მოკლებულია შესაძლებლობას, რომ საკუთარი გადაწყვეტილებით მოიძიოს ანდა გამოითხოვოს საქმეზე მტკიცებულებები. ის სრულიად არის დამოკიდებული მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე და მხოლოდ მათ საფუძველზე აქვს შესაძლებლობა შეიქმნას შინაგანი რწმენა, რათა კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება შეძლოს.

კონტინენტურ სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ანგლოამერიკული სამართლებრივი სისტემისაგან განსხვავებით სასამართლო არ განიხილება როგორც არბიტრი, როგორც პროცესის მთავარი „მენეჯერი”, არამედ აქტიურად მონაწილეობს მტკიცებულებათა გამოკვლევაში. ამასთან, მართალია, საქართველოს სსსკ

[5] აქუბარდია, ი., მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, იხ. მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, 2014, გვ. 130;
[6] გუცენკო კ., გოლოვკო, ლ.ფილიმონოვი, ბ., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ. 13;

ამკვიდრებს შეჯიბრებითობის ე.წ. კლასიკურ მოდელს, მაგრამ ამერიკის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მოსამართლის როლი გაცილებით სუსტია. [7]

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას შესაძლოა ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. თუმცა, გაცილებით უფრო მაღალია დადებითი მხარის ხარისხი, როდესაც სიტუაციას ორი გარემოება ემატება - დაკავებული ბრალდებული და პროცესი ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. სტატიაში განვიხილავთ სწორედ ასეთ შემთხვევას. მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოცემულ კვლევაში აუცილებლად განსახილველია შეჯიბრებითი პროცესი, მხარეების ტერმინოლოგიური განმარტება და გამომძიებლის როლი, სავალდებულო დაცვის შემთხვევები და აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საფუძვლებია.

ქართული სისხლის საპროცესო კანონმდებლობა და საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლების პრიორიტეტულობას და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიჩნევს დასაშვებად ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას, როდესაც ის ჯერ კიდევ ითვლება უდანაშაულოდ, თუმცა სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით. [8] ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს, თუ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. [9] თუმცა, სტატისტიკური მონაცემების ფონზე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ პრაქტიკაში პატიმრობა იმაზე უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე შესაძლოა უკიდურესი აუცილებლობით იქნას მოტივირებული. კიდევ უფრო საინტერესო კი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობების დასაბუთების პროცენტული მაჩვენებელია. 2026 წლის იანვარში, სულ განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 67,2%.[10] თებერვალში დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 71,0%. [11] ხოლო, მარტში ეს მონაცემები ოფიციალურ დოკუმენტში ასახული არ არის. [12]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სამი საფუძველი არსებობს: მიმალვის საფრთხე, მტკიცებულებების განადგურების საფრთხე ანდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. საკმარისია არსებობდეს მხოლოდ ერთი დასაბუთებული სახე, იმისათვის, რომ სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიების ნებისმიერი სახე, მათ შორის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა. სამივე ამ საფრთხის არსებობასთან დაკავშირებით, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელია,

[7] აქუბარდია ი, შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი, ჟურნ. „გერმანულ ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, აგვისტო, 2016 წ. გვ.13

[8] „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი” (მიღების თარიღი: 2009 წლის 9 ოქტომბერი), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით, მუხლი 5-ე და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმფცია.

[9] „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი” (მიღების თარიღი: 2009 წლის 9 ოქტომბერი), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით; მუხლი 198-ე, ნაწილი 1-ლი, ნაწილი მე-4;
მუხლი 38-ე, პუნქტი მე-12;

[10] სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის იანვარი, გვ. 34-35

[11] სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის თებერვალი, გვ. 34

[12] სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის მარტი

რომ სასამართლომ უფრო მეტი და სარწმუნო ინფორმაცია მიიღოს, ვიდრე ამას გამომძიებელი მოიპოვებდა, მითუმეტეს შეზღუდული ვადებიდან გამომდინარე, ბრალდებულის პირველი წარდგენისას სასამართლოში, ანდა პროკურორი მიაწოდებდა სასამართლოს, საქმის გარემოებებთან ან ბრალდებულის პიროვნებასთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როდესაც ბრალდებული დაკავებულია და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი საქმეში არ მონაწილეობს.

საპროცესო კანონმდებლობა გამომძიებელს, პროკურორთან ერთად მიიჩნევს და წარმოადგენს ბრალდების მხარეს.[13] აღნიშნული ფაქტობრივად გამორიცხავს გამომძიებლის დამოუკიდებლობას, თუმცა ეს საკითხი სცდება ამ სტატიის განხილვის საგანს. შესაბამისად, მხოლოდ იმას გავუსვამ ხაზს, რომ მტკიცებულებები, რომლებიც გადაცემული იქნება სასამართლოსთვის ბრალდების მხარის მიერ, ფაქტობრივად მხოლოდ ბრალდების მხარის პოზიციის გასამყარებლად იქნება წარდგენილი. ამავდროულად, პროკურორი არ არის ვალდებული სასამართლოში წარადგინოს ბრალდებულის სასარგებლო მტკიცებულებები. ან აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობაში ცალკე განიხილოს ის საკითხი, თუ რომელი მტკიცებულებები შეიძლება იქნას ბრალდებულის ინტერესების დასაცავად გამოყენებული. შეჯიბრებითი პროცესი სწორედ ამგვარად აყენებს საკითხს და ხაზს უსვამს ბრალდებულის შესაძლებლობას ჰყავდეს ადვოკატი სურვილის შემთხვევაში, ხოლო მისი არარსებობისას თავად ბრალდებულმა მოიპოვოს მტკიცებულებები და პროკურორის მსგავსად წარადგინოს სასამართლოში. ხოლო, პრაქტიკულად, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, დაცვის მხარის არარსებობისას და დაკავებული ბრალდებულის შემთხვევაში, იმის შესაძლებლობა, რომ დაცვის მხარისთვის სასარგებლო მტკიცებულებები იქნას სასამართლომდე მიტანილი, თითქმის ნულის ტოლია.

ამ სიტუაციაში არსებობს გამოსავალი, რომელიც ადვოკატის სავალდებულო წესით ჩართვას წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში მაშინ, როდესაც ბრალდებულს რაიმე მიზეზით არ ჰყავს დამცველი. თუმცა, როდესაც სავალდებულო დაცვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირების საკითხს კანონმდებელი განიხილავდა, ვფიქრობ საპროცესო ხარჯების და რესურსების დაზოგვის საკითს პრიორიტეტი მიანიჭა ბრალდებულის უფლებების დაცვისა და შეჯიბრებითი პროცესის უზრუნველყოფასთან მიმართებით. აღნიშნულის თქმის საფუძველს კი ის საკანონმდებლო ჩანაწერები მაძლევს, რომლის თანახმად სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატის ჩართვის ორი გზა არსებობს. ერთ შემთხვევაში კანონმდებელი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც სავალდებულოა ადვოკატის მონაწილეობა, თუ დაცვა შეთანხმებით არ ხორციელდება, ე.ი ბრალდებულს პირადი ხარჯებით არ ჰყავს კერძო ადვოკატი აყვანილი. ეს შემთხვევებია მაგალითად: თუ საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს, თუ ფორმდება საპროცესო შეთანხმება და ა.შ. [14]ხოლო მეორე გზა, რომ საქმეში ადვოკატი სახაზინო წესით

[13] „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი" (მიღების თარიღი: 2009 წლის 9 ოქტომბერი), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით; მუხლი მე-3, ნაწილები 5-7;

[14] „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი" (მიღების თარიღი: 2009 წლის 9 ოქტომბერი), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით, მუხლი 45-ე;

ჩაერთოს, ანუ სახელმწიფომ დაფაროს მისი საქმეში მუშაობის ანაზღაურება, განსაზღვრულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული სოციალურად დაუცველი პირია. [15]

საქართველოს კონსტიტუციით დაცვის უფლება გარანტირებულია.[16] საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით ადვოკატის პროცესში მონაწილეობა ყოველთვის არ არის სავალდებულო, რაც ნიშნავს იმას, რომ პროცესი შეიძლება წარიმართოს ადვოკატის გარეშეც. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის მონაწილეობა გამოძიების ეტაპიდან სავალდებულო უნდა იყოს ყველა კატეგორიის საქმეზე, რომლებშიც ბრალდებული თავს არ ცნობს დამნაშავედ, მით უმეტეს თუ იგი პატიმარია". [17] მიმაჩნია, რომ თუ ადვოკატი არ მონაწილეობს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სხდომაზე, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის, სამართლიანობის პრინციპის მხედველობაში მიღებით და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის მიზნით, ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უფრო ობიექტური იქნება, რადგან ინდივიდუალურ დასაბუთებას მოახდენს საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ფორმალური საფუძვლების საერთაშორისო, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების, უფრო სწრაფად, ობიექტურად და სამართლიანად მხედველობაში მიღებით.

დღეს აქტიურად გამოიყენება მხოლოდ პატიმრობა და გირაო. ასევე, ხშირად ხდება პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს გამოყენება. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკაში დანერგვამ შესაძლოა ხელი შეეწყოს სხვა აღკვეთის ღონისძიებების სახეების აქტიურ გამოყენებასაც. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2026 წლის იანვარში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 750 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 431, ანუ 57,5%, ხოლო არასაპატიმრო - 319, ანუ 42,5%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 99,7%.[18] თებერვალში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 935 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 610, ანუ 65,2%, ხოლო არასაპატიმრო - 325, ანუ 34,8%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 99,1%.[19]

შეჯიბრებითი პრინციპის მოქმედების ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის დაცვის უფლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ხარჯზე, შესაძლოა აღკვეთის ღონისძიების ინდივიდუალური დასაბუთებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითმა მხარეებმა გადაწონოს უარყოფითი მხარეები, რის გამოც მისასალმებელი იყოს რაც შეიძლება დროულად მოხდეს მისი დანერგვა ქართული მართლმსაჯულების სისტემაში.

[15] „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი" (მიღების თარიღი: 2009 წლის 9 ოქტომბერი), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით, მუხლი 46-ე; „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი, (მიღების თარიღი: 19/06/2007), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით; მუხლი მე-2, "ზ" ქვეპუნქტი;
[16] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, მესამე ნაწილი.
[17] მსხილაძე, ლ., დაცვის მხარის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, ჟურნალი „ადვოკატი" №3-4 (2014), 59, 62.
[18] სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის იანვარი, გვ. 36
[19] სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის თებერვალი, გვ. 36

დასკვნა

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელოვნური ინტელექტის დანერგვა, მისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭება, აღკვეთის ღონისძიების ინდივიდუალური დასაბუთებისა და მისი კონკრეტული სახის განსაზღვრისათვის, როდესაც ბრალდებული დაკავებულია და არ ყავს უფლებადამცველი ადვოკატი, მისასალმებელია და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს კონტექსტში. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველი მოგვცა შემდეგმა გარემოებებმა:

1. საქართველოში მოქმედებს შეჯიბრებითობის სისტემა, რომელიც სასამართლოს არ აძლევს უფლებამოსილებას, რომ მოიპოვოს მტკიცებულებები. მხოლოდ მხარეები მოიპოვებენ და წარადგენენ სასამართლოში მტკიცებულებებს.

2. სავალდებულო დაცვა ყოველთვის არ არის გარანტირებული უფლება ბრალდებულისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირი დაკავებულია და შეზღუდული აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს მისთვის სასარგებლო მტკიცებულებები. პროკურორი სისხლის სამართალწარმოებაში წარმოადგენს ბრალდების მხარეს და არ არის ვალდებული, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, რომ სასამართლოში წარადგინოს დაცვის მხარის სასარგებლო მტკიცებულებები.

3. როდესაც სასამართლოში აღკვეთის ღონისძიებების განხილვა ხდება, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ბრალდების მხარე პროფესიონალი იურისტების სახით, ხოლო დაცვის მხარეს არაპროფესიონალი ბრალდებული წარმოადგენდეს. აღნიშნულით კი საფრთხე შეექმნება სამართლიანობას შეჯიბრებითი პროცესის განხორციელების პირობებში.

4. ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, მიუხედავად იმ შესაძლო პრობლემური საკითხებისა, რომლებიც პოტენციურად შესაძლოა არსებობდეს პრატიკაში, მიმაჩნია უფრო მეტად დაიცავს თავისუფლებაშეზღუდული ბრალდებულის უფლებებს, რომელიც დამცველის გარეშეა წარდგენილი სასამართლოზე, ვიდრე ეს დღეს არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში ხდება.

5. ხელოვნური ინტელექტის მიერ აღკვეთის ღონისძიების ინდივიდუალური დასაბუთების შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც მოსამართლეზე იქნება დამოკიდებული. შესაბამისად, ის შესაძლო ეთიკური თუ მორალური საკითხები, რომლებიც შესაძლოა არ იყოს ბოლომდე გაანალიზებული ხელოვნური ინტელექტის მიერ, კვლავ დარჩება ადამიანური რესურსის შეფასების საგნად. ხოლო, მოსამართლე რასაკვირველია გადაწყვეტილებას მიიღებს როგორც ხელოვნური ინტელექტის მიერ დასაბუთებული შუამდგომლობის, ასევე საკუთარი შეხედულებებისა და შინაგანი რწმენის შესაბამისად.

სტატიაში წარმოდგენილი კვლევა წარმოადგენს სიახლეს, რომელიც ვიმედოვნებ უფრო სიღრმისეული კვლევის სურვილს გაუჩენს და დაინტერესებს სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე მეცნიერებს. ასევე, კანონმდებელმა შეიძლება გაითვალისწინოს სტატიაში დასაბუთებული მოსაზრება და კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვით, დახვეწოს და უფრო სამართლიანი გახადოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ისევე როგორც ბრალდებულის უფლებები.

ბიბლიოგრაფია

1. ,,საქართველოს კონსტიტუცია", თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო, 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით;
2. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი" (მიღების თარიღი: 2009 წლის 9 ოქტომბერი), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით;
3. „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი, (მიღების თარიღი: 19/06/2007), 2026 წლის 15 მაისის მდგომარეობით;
4. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია", (მიღების თარიღი: 11.04.1950);
5. ბულუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Bulut v. Austria) no17358/90, ECHR, 22 თებერვალი, 1996;
6. *აქუბარდია, ი.,* „მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში", იხ. მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებულში, 2014 წ.;
7. *აქუბარდია ი,* „შეჯიბრებითობის ქართული მოდელის ზოგიერთი ასპექტი", ჟურნ. „გერმანულ ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი", აგვისტო, 2016 წ.;
8. *გუცენკო კ., გოლოვკო, ლ.ფილიმონოვი, ბ.,* „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი", 2007 წ.;
9. *მსხილაძე, ლ.,* „დაცვის მხარის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში", ჟურნ. „ადვოკატი" №3-4 (2014);
10. რუხაძე ზ. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999.
11. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის იანვარი, https://www.geostat.ge/media/78270/Report_ianvari_2026.pdf
12. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის თებერვალი, https://www.geostat.ge/media/78307/Report_tebervali_2026.pdf
13. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2026 წლის მარტი, https://www.geostat.ge/media/78493/Report_marti_2026.pdf